# შირაქი

SHIRAKI

www. open.ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№40 (9.754)

22-29 ოქტომბერი 2016 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა


„კახეთის ენერგოდისტრიბუცია“ სავარაუდოდ მომავალ წელს გაიყიდება


გვ.2

## კახეთის გუბერნატორმა დიდნაურის ნაქალაქარი დაათვალიერა



გვ.3


გვ.3

კახეთში მატყლის გადამამუშავებელი საწარმოს შექმნა იგეგმება

ერთი დაუვიწყარი დღე

გვ.2





უბედური შემთხვევა დედოფლისწყაროში

გვ.7



გვ.5

იქ, სადაც მთავრდება სიტყვა, იწყება მუსიკა!




გვ.2

## არჩევნების საბოლოო შედეგები

C M Y K

# არჩევნების საბოლოო შედეგები




8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე კახეთის რეგიონში სიღნაღი – დედოფლისწყარო ერთადერთი ოლქია, სადაც მმართველმა გუნდმა გამარჯვება პირველივე ტურში მოიპოვა. სიღნაღი-დედოფლისწყაროს გაერთიანებულ ოლქში მოსალოდნელზე მაღალი აქტივობა დაფიქსირდა. საკუთარი პოზიცია ამომრჩეველთა 56,11 %-მა დააფიქსირა. თუმცა, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებზე ეს რიცხვი უფრო მაღალი იყო. მაშინ სიღნაღში ამომრჩეველთა 67%-მა იაქტიურა, დედოფლისწყაროში კი 61%-მა. ამჯერად სიღნაღი-დედოფლისწყაროს ოლქში არსებული 58 უბნიდან 54 უბანზე ქართული ოცნების კანდიდატი, კახეთის ყოფილი გუბერნატორი ირაკლი შიოლაშვილი ლიდერობს. ლევან ბეჟაშვილმა მხოლოდ ოთხგან შეძლო გამარჯვება - წნორის მე-9, ჯუგაანის მე-14 და მე-15 და ხორნაბუჯის მე-20 უბანზე.

რაც შეეხება ტენდენციებს, „ქართულ ოცნებას“ ყველაზე მაღალი მხარდაჭერა აქვს ქალაქ დედოფლისწყაროს ყველა უბანზე, ასევე სოფლებში: ზემო მაჩხაანში, მირზაანში, სოფელ ხორნაბუჯში, სამრეკლოში. საყურადღებოა, რომ ირაკლი ღარიბაშვილის პრემიერობის დროს ქართულ ოცნებას დედოფლისწყაროში ქვეყნის მასშტაბით ყველაზე მაღალი მხარდაჭერა ჰქონდა. 2014 წლის თვითმმართველობის არჩევნებზე აქ ოცნებამ რეკორდული მაჩვენებელი დააფიქსირა და 88% აიღო. მთლიანობაში, სიღნაღის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მანანა მჭედლიშვილის განცხადებით, ხელისუფლებას დედოფლისწყაროში უფრო მაღალი მხარდაჭერა ჰქონდა, ვიდრე სიღნაღში.

ნაციონალურ მოძრაობას ყველაზე მაღალი მხარდაჭერა აქვს დედოფლისწყაროს სოფელ სამთაწყაროში (195 ხმა) და არბოშიკში (189 ხმა), სიღნაღში კი სოფელ ჯუგაანში. „პატრიოტთა ალიანსს“ ყველაზე მაღალი მხარდაჭერა აქვს არბოშიკში, ზემო ქედში და არხილოსკალოსა და ქვემო ქედში.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულია 22 346 ამომრჩეველი აქედან საარჩევნო უბნებზე გამოცხადდა 12 167 მოქალაქე, რაც 54,45%-ს შეადგენს. აქედან 6 296 კაცია (51,75%), ხოლო 5 871 ქალი (48,25%).

**საბოლოო მონაცემები კი ასეთია**

**„ქართული ოცნება“** ირაკლი შიოლაშვილი – 54,7 % - 15 806 ხმა

**„ნაცმძრაობა“** ლევან ბეჟაშვილი – 27,38 % - 7 913 ხმა

**„პატრიოტთა ალიანსი“** ანა ალავერდაშვილი – 5,1 % - 1473 ხმა

**„ბურჯანაძის პარტიიდან“** მამუკა ყაჯრიშვილი – 3,12 % - 902 ხმა

**„ბურჭულაძის პარტია“** გიორგი მჭედლიშვილი – 2,3 % - 666 ხმა

**„ლეიბორისტები“** ნინო მაზანაშვილი 2,14 % – 618 ხმა

**„ალასანიას პარტია“** ლევან ჯამალაშვილი – 1,87 % — 540 ხმა

**„რესპუბლიკელები“** ნოდარ ტოკლიკიშვილი – 1,81 % 524 ხმა

**„ეროვნული ფორუმი“** გოჩა ბეგიაშვილი – 0,91 %, - 262 ხმა

**„მრეწველები“** კახა მამაიაშვილი – 0,52 % - 150 ხმა

**„ზვიადის გზა“** ბეჟან ნათელაძე – 0,15 % - 42 ხმა

# ირაკლი ქადაგიშვილი – „კახეთის ენერგოდისტრიბუცია“ სავარაუდოდ მომავალ წელს გაიყიდება

კახეთის გუბერნატორის, ირაკლი ქადაგიშვილის განცხადებით, სს „კახეთის ენერგოდისტრიბუციის“ გაკოტრების რეჟიმში ყოფნა პრობლემებს ქმნის და ეს პრობლემები ენერგოსადისტრიბუციო კომპანიის გასხვისებით უნდა გადაიჭრას. როგორც კახეთის გუბერნატორმა პანკისის სათემო რადიო WAY-ს ეთერში განაცხადა, დაწყებულია მოლაპარაკებები და კომპანია სავარაუდოდ მომავალ წელს გაიყიდება.

„კახეთის ენერგოდისტრიბუცია“ რომ არის გაკოტრების რეჟიმში, ეს პრობლემაა. მისი სრულყოფილი განვითარების არანაირი პერსპექტივა ამ რეჟიმში ყოფნით არ არსებობს. მომავალ წელს ეს კომპანია რეალურად გაიყიდება. თუ არ მოხდა ამ კომპანიის გასხვისება და მას არ გამოუჩნდა ინვესტორი და სერიოზული პატრონი, ეს პრობლემა დარჩება პრობლემად. მარტივი არ იყო ინვესტორის შემოყვანა ამ კომპანიასთან დაკავშირებით. როგორც ჩემთვის ცნობილია, დღეს კონკრეტული მოლაპარაკებები მიმდინარეობს ენერგეტიკის და იუსტიციის სამინისტროების ჩართულობით, რადგან გაკოტრების პროცესს იუსტიციის სამინისტროს დანიშნული მმართველი მართავს. სახელმწიფო თვითონ არის მაქსიმალურად მონდომებული, რომ ამ კომპანიას პატრონი გამოუჩნდეს, გაკოტრების რეჟიმიდან გამოვიდეს. ინვესტორის შემოსვლის გარეშე ჩვენ ამ პრობლემების ქვეშ ვიქნებით“, - განაცხადა ირაკლი ქადაგიშვილმა პანკისის სათემო რადიო WAY-ს ეთერში, გადაცემაში „მთავარი თემა“.

გუბერნატორის თქმით, იმისათვის, რომ კახეთს ენერგომამარაგების თანამედროვე სისტემა ჰქონდეს, ასეულობით მილიონი ლარია საჭირო.

„კახეთის ენერგოდისტრიბუციის“ მიმართ გაკოტრების საქმე 2011 წლის 5 აგვისტოდან გაიხსნა. მანამდე, 2009 წლის იანვრიდან სს „კახეთის ენერგოდისტრიბუციას“ ლიტვური კომპანია „ახემა ჯგუფი“ ფლობდა, რომელსაც კომპანია ჩამოართვეს. კომპანიის მიმართ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყების თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს შპს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულმა ოპერატორმა“ და შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემამ“ მიმართეს. ოფიციალური ინფორმაციით, ენერგოსადისტრიბუციო კომპანიას 4 417 544 ლარი დავალიანება ჰქონდა. 2011 წლის ოქტომბერში, სს „კახეთის ენერგოდისტრიბუციის“ გადახდისუუნარობის საქმესთან დაკავშირებით მომრიგებელმა საბჭომ კომპანიის გაკოტრების გადაწყვეტილება მიიღო. როგორც გადაწყვეტილებაშია აღნიშნული, ლიტვურმა ინვესტორმა კომპანია „გრუპპა ახემამ“ საინვესტიციო პირობების შესრულება ვერ შეძლო და ვალების დაგროვება დაიწყო. კომპანია დღემდე გაკოტრების რეჟიმშია, რის გამოც მომხმარებელთა უფლებების დარღვევის სხვადასხვა ფაქტებზე არც მარეგულირებელი კომისია და არც ენერგოომბუდსმენის აპარატი ადეკვატურ რეაგირებას არ ახდენენ. არადა, კომპანია ხშირად უწყვეტს ელექტროენერგიის მიწოდებას მომხმარებლებს, ზოგიერთ შემთხვევაში მოსახლეობას შუქი 2—3 დღის განმავლობაშიც არ აქვს, გაუმართავი ქსელის და ცვალებადი ძაბვის გამო მოსახლეობას ელექტროტექნიკა არაერთხელ გადაეწვა. „კახეთის ენერგოდისტრიბუცია“ ელექტროენერგიის მიწოდებას მთელი კახეთის მასშტაბით ახორციელებს.

# 48 ოლქში არჩევნები 30 ოქტომბერს ჩატარდება, 2 ოლქში კი განმეორებითი კენჭისყრა 22-ში გაიმართება

საპარლამენტო არჩევნების მეორე ტურის თარიღი ოფიციალურად დასახელდა. 48 მაჟორიტარულ ოლქში არჩევნები 30 ოქტომბერს ჩატარდება.

საარჩევნო ადმინისტრაციაში განმეორებითი კენჭისყრის საკითხიც შეათანხმეს. კენჭისყრა მარნეულსა და ზუგდიდში 22 ოქტომბერს გაიმართება. 36 და 66-ე ოლქებში 22 ოქტომბერს განმეორებითი კენჭისყრის შედეგების მიხედვით, მეორე ტურის საკითხი გადაწყდება.

ცესკო მეორე ტურების ჩასატარებლად ბიუჯეტიდან 6 მილიონ 56 ათას 718 ლარს ითხოვს. ამის შესახებ ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ განაცხადა.

# საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარედ ზაზა თავაძე აირჩიეს

საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარედ პლენუმმა ზაზა თავაძე აირჩია. თავმჯდომარის არჩევის საკითხზე კენჭისყრა დახურულ ფორმატში გაიმართა. თავაძეს სხდომაზე დამსწრე პლენუმის 8 წევრიდან მხარი 5-მა დაუჭირა.

რაც შეეხება ირინა იმერლიშვილს, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობაზე ზაზა თავაძის კონკურენტი იყო, მან დანარჩენი 3 ხმა მიიღო.

ზაზა თავაძე 2010 წლის 30 მარტს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრად დაინიშნა. პლენუმის მიერ პირველად 2010 წლის 15 ივნისს, მეორედ კი 2015 წლის 10 ივნისს არჩეულ იქნა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილედ და მეორე კოლეგიის თავმჯდომარედ. 2008-2010 წლებში ზაზა თავაძე იყო საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე. 2007 წლის მარტიდან 2008 წლის თებერვლამდე საქართველოს გენერალური პროკურატურის საკადრო უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსის თანამდებობას იკავებდა. 2004 წელს კი საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის უფროსად მუშაობდა.

საქმემან შენმან გამოგაჩინონ შენ, - ასე უპასუხა საკონსტიტუციო სასამართლოს ახლად არჩეულმა თავმჯდომარემ ზაზა თავაძემ ჟურნალისტების შეკითხვას, რომ არსებობს მოსაზრება, თითქოს ის ვერ შეძლებს ნეიტრალური პოზიციის შენარჩუნებას და მოხდება ხელისუფლების ინტერესების გატარება. “ლაკმუსის ქაღალდი იმისა, სასამართლო არის თუ არა დამოუკიდებელი, ამაზე იმეტყველებს თითოეული ჩვენი გადაწყვეტილება”, - აღნიშნა ზაზა თავაძემ.

მაღალი ინტერესის მქონე საქმეებზე კომენტირების დროს ზაზა თავაძემ აღნიშნა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოსთვის ყველა საქმე ერთი და იგივეა, რადგანაც ის ადამიანის უფლებებს ეხება. “ჩვენთვის ყველა საქმე არის ერთი და იგივე, იმდენად, რამდენადაც ადამიანის უფლებები და ძირითადი თავისუფლებები, განურჩევლად ყველა ადამიანისა, არის ერთი და იგივე. შესაბამისად, ჩვენ ვიმოქმედებთ კანონით დადგენილი წესით”, - აღნიშნა ზაზა თავაძემ.

# ბიჭიკო ბუჩუკურის ხსოვნის ტურნირი ქართულ ჭიდაობაში




1 ოქტომბერს, სოფელ არხილოსკალოს საჭიდაო არენაზე, გაიმართა ბიჭიკო ბუჩუკურის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი ქართულ ჭიდაობაში. შეჯიბრზე მონაწილეობდნენ მცხეთის, ხაშურის, ქარელის, ყვარლის, დედოფლისწყაროსა და სოფ. არხილოსკალოს სპორტსმენები.

35კგ.წ.კ.--Iადგილი--ნიკახუზაურაშვილი(არხილო)
40კგ.წ.კ.--I ადგილი-გიორგი ციხელაშვილი (არხილო)
II ადგილი-ლაშა სეთურიძე(არხილო)
45კგ.წ.კ.--I ადგილი-გუგა წიკლაური(არხილო)
II ადგილი-ირაკლი ლალიაშვილი(ზ/ქედი)
50კგ.წ.კ.--I ადგილი-დათო უსტარაშვილი(არხილო)
55კგ.წ.კ.--I ადგილი-გიორგი ხუციანიძე(ზ/ქედი)
მძიმე წონა--II ადგილი-გიორგი არაბული(არხილო)
III ადგილი-ნიკა ბედოიძე (არხილო)

საბოლოო ჯამში ყველაზე მეტი პირველი ადგილი სოფ არხილოსკალოს სპორტსმენებმა დაისაკუთრეს. მათი მწვრთნელი კახა წიკლაურია.

# კახეთის გუბერნატორმა დიდნაურის ნაქალაქარი დაათვალიერა

13 ოქტომბერს კახეთის გუბერნატორი ირაკლი ქადაგიშვილი, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელ ნიკოლოზ ჯანიაშვილთან, ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოს მეუფე დიმიტრისთან და არქეოლოგიური გათხრების ხელმძღვანელ



კიაზო ფიცხელაურთან ერთად დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში დიდი შირაქის ველზე არსებულ დიდნაურის ნაქალაქარს ეწვივნენ და იქ მიმდინარე არქეოლოგიური გათხრები დაათვალიერეს. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით, 2015 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, დიდნაურის ნაქალაქარზე არქეოლოგიური სამუშაოები დაიწყო. ნაქალაქარი, რომელიც სატელიტური ფოტოების გაშიფვრის შედეგად აღმოჩნდა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, დიდი შირაქის ველის დასავლეთ ნაწილში მდებარეობს. ივრის ზეგნის ამ მონაკვეთში, გეოგრაფიულად, დიდი შირაქის, პატარა შირაქისა და ზილიჩის ნაყოფიერი ველებია - ველებს ირგვლივ მთაგორებზე ორმოცდაათი მცირე დასახლებაა, რომელიც XII-IX სს. თარიღდება. სატელიტური გადაღებებისა და მცირე გათხრითი სამუშაოების მიხედვით, ნაქალაქარი სამხრეთ კავკასიაში ყველაზე დიდი ზომისაა; შვიდი მეტრის სიგანის გალავანი ქვის, თიხის და ხის კონსტრუქციებით არის ნაგები. გალავნის სიგრძე დაახლოებით 1.5 კმ-ია. ქალაქის ჩრდილო-დასავლეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში დიდი ზომის ნაგებობებია. ექსპედიციამ, ნაქალაქარის წყლის მომარაგების სისტემაც გამოავლენა; გალავნის სამხრეთი ნაწილის გათხრებისას, კარიბჭის მახლობლად, აღმოჩნდა ორი რიტუალური ნაგებობა, ე. წ. „შესაწირი მაგიდით“, რომელსაც პარალელები ხეთურ სამყაროში ეძებნება, ასევე მიაკვლიეს ერთ საცხოვრებელ სათავსოს. დიდი რაოდენობით აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალის (ნაცრისფრად გამომწვარი თიხის ჭურჭელი, ქვის საბრძოლო იარაღები, თიხის საბეჭდავები და ბრინჯაოს ნივთების ფრაგმენტები) მიხედვით, „დიდნაურის“ ნაქალაქარი შეუცდომლად ძვ. წ. მეორე ათასწლეულის დასასრულით და ძვ. წ. პირველი ათასწლეულის დასაწყისით თარიღდება.არქეოლოგიური გათხრების დროს სავარაუდოდ, ბრძოლაში დაღუპული მხედართმთავრის სამარხი გაითხარა. მუცლის არეში ჩონჩხს აღმოაჩნდა ისრის პირი, რომელიც არ არის კავკასიური წარმომავლობის. ასევე, მას ზურგთან აქვს ბრინჯაოს მახვილი (ძვ.წ.აღ-ის XIII ს.). 2015 წელს, არქეოლოგიური სამუშაოები ნაქალაქარის მხოლოდ გარე პერიმეტრზე, სამხრეთ გალავნის კარიბჭესთან და ჩრდილოეთით მდებარე სამაროვანზე ჩატარდა; სამხრეთის გალავანთან გაიწმინდა კარიბჭე, მის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში დაფიქსირდა გალავანთან შეერთების კუთხე, სადაც შემორჩენილია შელესილობის ფრაგმენტები; აქვე გამოიკვეთა ვერტიკალურად მდგარი ორი ბოძის კვალი. დიდნაურის ნაქალაქარზე არქეოლოგიური სამუშაოები წელსაც გაგრძელდება. მთლიანი კომპლექსის გამოკვლევამ, შესაძლოა, ძირეულად შეცვალოს დასკვნები ჩვენი წარსულის შესახებ და მრავალი საუკუნით გადაწიოს აღმოსავლეთ საქართველოში სახელმწიფოს ჩამოყალიბების თარიღი. დღესვე კახეთის გუბერნატორმა ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან და მეუფე დიმიტრისთან ერთად დედოფლისწყაროში მდებარე ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარი მოილოცა და ტაძრის ახლადმოხატული გუმბათი დაათვალიერა.



# ირაკლი ქადაგიშვილი — კახეთში მატყლის გადამამუშავებელი საწარმოს შექმნა იგეგმება

კახეთში მატყლის გადამამუშავებელი საწარმოს შექმნა იგეგმება - ამის შესახებ კახეთის გუბერნატორმა ირაკლი ქადაგიშვილმა პანკისის სათემო რადიო WAY-ს ეთერში, გადაცემა „მთავარ თემაში“ განაცხადა. გუბერნატორმა მეცხვარეობასთან დაკავშირებულ პრობლემებზეც ისაუბრა.

„კახეთში მეცხვარეობა უნდა ჩამოყალიბდეს როგორც მსხვილი, თანამედროვედ ოპერირებადი ბიზნესის მიმართულება. ამის პოტენციალი აქ ისტორიულად არსებობდა და დღესაც დიდი პოტენციალი აქვს არამარტო თუშ მეცხვარეს. იორმუღანლოში გაცილებით დიდი რაოდენობის ცხვარია, ვიდრე თუშეთში. ამიტომ ეს პრობლემა მათთვისაც მნიშვნელოვანია. პირველ რიგში, დავიწყოთ იმით, რომ ის აუცილებელი ანალიზი, რაც ცხვარს უნდა ჩაუტარდეს, მისი ღირებულება თითქმის 45%-ით შემცირდა. გადასარეკი ტრასების პრობლემა არის ის, რომ ეს ტრასები არსებობს, მაგრამ მათი მომიჯნავე ტერიტორიები პრივატიზებულია და კერძო მესაკუთრეების ხელშია. ამასაც სჭირდება გარკვეული სამთავრობო დადგენილებები და საკანონმდებლო რეგულაციები, შეცვლა იმ კუთხით, რომ მათ შორის, საძოვრების ტარიფის ჩამოყალიბების პოლიტიკა იყოს ერთიანი, ლოგიკური და გააზრებული.





მესამე საკითხია მატყლი, რომელიც ასევე მნიშვნელოვანია. ეფექტურია ბიზნესი მაშინ, როდესაც ის ბოლომდე იყენებს ყველა რესურსს, რომელიც მას გააჩნია. აქაც ექნება სახელმწიფოს საინტერესო წინადადება. მე ვფიქრობ, აქ შეიძლება კოოპერაციის გამოყენება, თუ მოხდება თვითონ ბიზნეს სუბიექტების მხრიდან ერთობის გამოჩენა, სახელმწიფო „აწარმოე საქართველოს“ პოლიტიკის ფარგლებში აუცილებლად გამოყოფს დამატებით სახსრებს, დამატებით პროგრამებს და გაკეთდება მატყლის გადამამუშავებელი საწარმო. არ მინდა წინასწარ დავაანონსო და რაღაცაში არ ვიყო ზუსტი. ამასთან დაკავშირებით იგეგმება თათბირი ეკონომიკის სამინისტროს, სოფლის მეურნეობის სამინისტროს და რა თქმა უნდა, თვითონ ამ ბიზნესში და ამ საქმიანობაში ჩართული ადამიანების მონაწილეობით და იქ განიხილება ეს საკითხი,“ - განაცხადა ირაკლი ქადაგიშვილმა.

მისივე თქმით, ხელისუფლება საზღვარგარეთ ცხვრის ექსპორტის გაზრდის მიმართულებითაც მუშაობს.

„ჩვენ ვიცით, რომ უფრო დიდი იყო წინა წლებში ცხვრის ექსპორტის მაჩვენებელი. გაჩნდა არაკეთილსინდისიერი ბიზნესის მომენტები. შესაბამისი მუშაობა მიმდინარეობს, რომ ეს რეციდივები, რომლებიც მოხდა და რამაც დააზარალა ჩვენი მეცხვარეები და ეს დარგი, აღმოიფხვრას. სახელმწიფო ძალიან ინტენსიურად მუშაობს იორდანიის ვაჭრობის სამინისტროსთან, რომ ეს ურთიერთობა აღდგეს და ეს ნდობა და ბაზარი ნელ-ნელა დავიბრუნოთ. ჩვენ უნდა წავიდეთ ამ დარგის განვითარების, კომერციალიზაციის და ცივილური ბიზნესისკენ წაყვანის გზაზე,“ - განაცხადა ირაკლი ქადაგიშვილმა.

# „ეტალონი“ დედოფლისწყაროში

11 ოქტომბერს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის მხარდაჭერითა და კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის ორგანიზებით დედოფლისწყაროს კულტურის სახლში ,,ეტალონი-დედოფლისწყარო“ ჩატარდა. ღონისძიებას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე, ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები,პედაგოგები, მოსწავლეები და ადგილობრივი მოსახლეობა ესწრებოდა. ღონისძიების წამყვანის, საპატიო დედოფლისწყაროელის გოჩა ტყეშელაშვილის თქმით, ესაა მამულიშვილური პროექტი, რომელსაც ათი წელი შეუსრულდა.

გაცნობებთ, რომ ღონისძიებაში მონაწილეობას იღებდა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ყველა სოფლის საჯარო სკოლის 46 მოსწავლე, რომელთაც სულ 20 კითხვას გასცეს პასუხი. 2016-2017 სასწავლო წლის დედოფლისწყაროს „ეტალონი მოსწავლის“ ტიტული მიენიჭა სამრეკლოს საჯარო სკოლის მოსწავლეს ზაქარია მექუდიშვილს, მე-2 და მე-3 ადგილი დაიკავეს ნათია არაბულმა და ნინო ქაჩლიშვილმა. შეგახსენებთ, რომ პირველ ადგილზე გასული გამარჯვებული მოსწავლე მონაწილეობას მიიღებს ეტალონის ფინალში.



# „ეზოებში ვაზის ხეივნები იყო გაშენებული, რაც მალიან გავდა ქართულ ტრადიციას“...

## დები ლოლაშვილების ბულგარეთული ვოიაჟი და წარმატებული გამოსვლები

ორიოდე თვის წინ, დედოფლისწყაროს სამი მშვენიერი ასული, ყველასთვის კარგად ცნობილი დები, მარიამ, ანა და ლიკა ლოლაშვილები გასტროლებიდან დაბრუნდნენ. მოგეხსენებათ, ზაზა და ნინო ლოლაშვილების ოჯახში აღზრდილ სამ ქალიშვილს ბავშვობიდან სიმღერის ნიჭი დაჰყვათ. ისინი საუკეთესოდ მღერიან და უკვე საკუთარ სიმღერებსაც წერენ. სწორედ ამიტომ, დამსახურებულად, ივლისის თვეში, დები ლოლაშვილების უკვე შემდგარი ტრიო პედაგოგთან და მუსიკოსთან, ნინო ნიკვაშვილთან ერთად, ბულგარეთში ფოლკლორულ ფესტივალზე მიიწვიეს. ბულგარეთიდან ჩვენი გოგონები გამარჯვებულები და პრიზებით დაჯილდოვებულები დაბრუნდნენ.






ჩვენი რაიონის სინამდვილეში განხორციელებული ასეთი მნიშვნელოვანი წარმატების შესახებ, თავად დებს ვესაუბრეთ.

**- ლოლაშვილებს დედოფლისწყაროში უკვე თქვენი სიმღერებით გიცნობენ, ეს მოსასმენად მართლაც წარმტაცია, ამას ჩვენი საზოგადოება კარგად აფასებს, თქვენ ფართო მასების ოვაციებს უდაოდ იმსახურებთ, საქართველოს ფარგლებს გარეთ გასვლა ასე ადვილი არაა,თქვენ კი ეს შეძელით, როგორ მოხვდით ბულგარეთის ფესტივალზე და საიდან დაიწყო ყველაფერი?**

- კავკასიის საერთაშორისო ფესტივალების ასოციაციამ მიგვიწვია თბილისში მის მიერ ორგანიზებულ ფესტივალ-კონკურსზე- ,,ყური უგდე საქართველოს”. ფესტივალის ორგანიზატორები იყვნენ: ნანა მიშელაძე და ამირან ბუთურიშვილი. კონკურსანტებს აფასებდა კომპეტენტური ჟიური, რომელმაც უპირატესობა მიანიჭა მრავალხმიან ფოლკლორს, რეპერტუარს და ანსამბლის ჩაცმულობას. სასიხარულოა, რომ ფესტივალის პირველი ადგილის მფლობელები ჩვენ გავხდით. ასევე მოგვენიჭა კონკურსის ლაურეატის წოდება. ყურადღება მიიქცია ჩვენმა ტრადიციულმა, ქიზიყურმა სამოსმა, რის გამოც სპეციალური პრიზი დააწესა კომპანია ,,სამოსელი პირველის” დამფუძნებელმა ლუარსაბ ტოგონიძემ და გადმოგვცა უნიკალური ილუსტრირებული წიგნი ,,ქართული ტრადიციული სამოსი”. კონკურსის პირობების მიხედვით, გამარჯვებულს იწვევდნენ ევროპის ერთ-ერთ საერთაშორისო ფესტივალზე. ასე მივიღეთ მოწვევა ბულგარეთის ქალაქ სენებრში საერთაშორისო ფესტივალზე ,,ბედნიერების პლანეტა”.

**- რამდენ დღიანი იყო თქვენი ვიზიტი ბულგარეთში, რომელ საკონცერტო დარბაზებში გაიმართა კონცერტი და რა რეპერტუარით წარსდეგით უცხოელი მაყურებლის წინაშე?**

-26 ივლისს გავემგზავრეთ საქართველოდან ჩვენს პედაგოგ ნინო ნიკვაშვილთან ერთად და 3 აგვისტოს დავბრუნდით უკან. კონკურსში მონაწილეობდა შვიდი ქვეყანა: პოლონეთი, მაკედონია, რუსეთი, მოლდოვა, ბელორუსია, უკრაინა, საქართველო. წარმოდგენილი იყო, როგორც ქორეოგრაფიული, ისე მუსიკალური ნომრები. რეპერტუარი, ძირითადად, შედგებოდა ხალხური სიმღერებისგან, ინსტრუმენტალური პოპურისგან, ასევე ფსევდო ხალხური სიმღერებისგან. ამავდროულად წარვადგინეთ საგალობელი, რათა ჩვენი ქვეყნის პოლიფონია და კულტურა სრულად გადაგვეცა მაყურებლისთვის.

**-როგორი იყო მასპინძლების დამოკიდებულება თქვენი, როგორც საქართველოდან ჩასული სტუმრების მიმართ?**

-უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართველების მიმართ განსაკუთრებით გამოხატავდნენ სითბოს და ყურადღებას ფესტივალების ორგანიზატორები. რა თქმა უნდა, ეს გასაკვირი იყო ჩვენთვის და ამავდროულად სასიამოვნოც. მათ კეთილგანწყობილ დამოკიდებულებას ჩვენც ანალოგიურად ვპასუხობდით. საერთოდ ამ ქვეყანაში მცხოვრები ხალხის მიმართ ვიყავით აღფრთოვანებულები, რადგანაც ისინი ისეთივე თბილები აღმოჩნდნენ, როგორიც ქართველები ვართ. გზად ვხვდებოდით სახლებს, რომლებიც კრამიტით იყო დახურული. ეზოებში ვაზის ხეივნები იყო გაშენებული, რაც ძალიან ჰგავდა ქართულ ტრადიციას. ბულგარეთში, ძირითადად, ვარდის კულტურას მისდევენ, მისგან ამზადებენ ჯემებს და იყენებენ პარფიუმერიაში. ნესებრის სიმბოლო იყო უძველესი ქარის წისქვილი. მთლიანობაში ეს ქალაქი ტურისტული ქალაქი გახლავთ, ძალიან მიმზიდველი და სასიამოვნო.

**- რაც შეეხება ჟიურის, ვინ აფასებდა თქვენს და სხვა ქვეყნების მიერ წარდგენილ სიმღერებს?**

-ჟიურის წევრები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან იყვნენ მოწვეული. კონკურსი გაიმართა ორ ეტაპად „STAR CLUB“-ის ღია სცენაზე. ამის შემდეგ მივიღეთ მოწვევა, სოლო კონცერტი გაგვემართა ძველი ნესებრის ამფითეატრში. ქორეოგრაფიულ ანსამბლ ,,ილორსა” და „დები ლოლაშვილების“ კონცერტს დაესწრო ქალაქის მერი. აგრეთვე ამფითეატრის სცენაზე გაიმართა დაჯილდოვება. ძალიან ვღელავდით, სანამ გავიგებდით პასუხს, რადგან დიდ პასუხისმგებლობას ვგრძნობდით ჩვენი ქვეყნისა და რაიონის წინაშე. საბედნიეროდ, ავიღეთ პირველი ადგილი, თასი, მედალი და დიპლომები.



**- მე მინდა ღრმად შევიხედო თქვენს სულში და გკითხოთ, რა ძალა გატანინებთ, ყველაფერში იყოთ წარმატებული გოგონები, თეატრში, სიმღერაში, სწავლაში, სულიერ მხნეობაში! ეს მემკვიდრეობითია, თუ შინაგანი ხმა გეძახით?**

- ყველაფერს უფლის წყალობით ვაკეთებთ. მშობლების აღზრდასაც დიდი მნიშვნელობა აქვს, მადლობა დედას და მამას, იმისთის, რომ არ დაიშურეს დრო და ენერგია ჩვენი სწორად აღზრდისა და პიროვნებებად ჩამოყალიბებისთვის. სიმღერა ჩვენი ცხოვრების ნაწილია და ვაპირებთ ასე გაგრძელებას. ლიკას და მარიამს არჩეული აქვთ პროფესიები, ხოლო მე უფრო სიღრმისეულად მივყვები ამ სფეროს. ყველაფერში ერთნაირად ნიჭიერი ვერ იქნება ადამიანი, თუმცა, მეტ-ნაკლებად ვცდილობთ, რასაც ვაკეთებთ, ყველაფერი ხარისხიანი იყოს. ეს ყოველივე დიდი შრომის შედეგია. რა თქმა უნდა, სიმღერა სულის ამოძახილია. ოდითგანვე, ჩვენი წინაპრები იმას მღეროდნენ, რასაც გრძნობდნენ და ასე იქმნებოდა გენიალური ხალხური სიმღერები, როგორიცაა: შრომის, ბრძოლის თუ სადღესასწაულო სიმღერები...

**-რა განცდაა, როდესაც გამოდიხართ სცენაზე დები ლოლაშვილები და თქვენ ტაშს გიკრავთ მაყურებელი, მით უმეტეს მაშინ, როდესაც სხვა ქვეყანაში წარადგენთ თქვენს კულტურას?**

-სცენაზე გასვლის დროს, თუკი რამე გვაწუხებს, ყველა პრობლემა გვავიწყდება, რადგან მაშინ აღარ ფიქრობ მხოლოდ საკუთარ თავზე, ორიენტირებული ხარ მაყურებელზე, რომელიც გისმენს. ჩვენ მათი აპლოდისმენტები გვაძლიერებს. მადლობა გვინდა გადავუხდოთ ადგილობრივ მუნიციპალიტეტს და კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურს ჩვენი გამგზავრებისთვის და გაწეული თანადგომისთვის.

P.S. ჩვენ გავესაუბრეთ ასევე კულტურის და ძეგლთა დაცვის სამსახურის სპეციალისტს, დები ლოლაშვილების პედაგოგს, ერთ-ერთ საუკეთესო მუსიკოსს დედოფლისწყაროში და ფოლკლორისტს ქალბატონ ნინო ნიკვაშვილს.

**-ქალბატონო ნინო, როგორია თქვენი, როგორც პედაგოგის დამოკიდებულება ლოლაშვილების ასეთი დიდი წარმატების მიმართ და რა ემოციით დატვირთული დაბრუნდით ბულგარეთიდან?**

-როგორც პედაგოგს, დიდი პასუხისმგებლობა მქონდა დაკისრებული, განსაკუთრებით ვღელავ ასეთ საპასუხისმგებლო ფესტივალებზე მონაწილეობისას. ვიზიტის დროს, არ ვიცოდი, როგორი კონკურენცია დაგვხვდებოდა, ამიტომ ძალიან ვღელავდი. საკონკურსო დღეების შემდეგ, იმედიანად ვიყავი, იქიდან გამომდინარე, რომ ბავშვები ბოლომდე დაიხარჯნენ და ჟიურის წევრებიც არ მალავდნენ თავიანთ ემოციებს. მასპინძლობა გაგვიწიეს, როგორც ადგილობრივმა, ასევე უკრაინიდან ჩამოსულმა დელეგაციამ, რომლებიც ორგანიზებას უწევდნენ ფესტივალს. განსაკუთრებულ სითბოს გამოხატავდნენ ჩვენს მიმართ, ისინი დარწმუნდნენ ჩვენი ბავშვების ნიჭიერებაში და მაღალი დონის შესრულებაში. აქედან გამომდინარე, ბავშვებს აქვთ მიწვევები უკრაინაში, ისრაელში. მოვინახულეთ ძველი ნესებრი, რომელიც მოგვაგონებდა თბილისს, კერძოდ შარდენის ქუჩას. ვიყავით ამფითეატრში,სადაც იყო დაჯილდოება და გალა კონცერტი, აქ მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ ქართველმა შემსრულებლებმა. ამ ყველაფერმა წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ჩვენზე და ვიმედოვნებთ,რომ მომავალშიც გველოდება ბევრი წარმატებული და ლამაზი დღეები.



**-ვუსურვოთ წარმატებები როგორც პედაგოგს, ასევე დებს ლოლაშვილებს, დაე, მათ თავისი სიმღერებით და ნიჭით მსოფლიოს სცენები დაეპყროთ და ჩვენი რაიონი ესახელებინოთ! ისინი ამას ნამდვილად იმსახურებენ!**

ლალი მეხრიშვილი

# იქ, სადაც მთავრდება სიტყვა, იწყება მუსიკა!

ეს უკვე მერამდენედ გადაიჭედა სამუსიკო სკოლის საქტო დარბაზი, ეს უკვე მერამდენედ მოიყარა თავი რაიონის ინტელიგენციამ, კლასიკური მუსიკის თაყვანისმცემლებმა. სულ მუდამ ასეა: - მსმენელმა იცის, რომ სამუსიკო სკოლის ერთ-ერთი გამორჩეული პედაგოგის, ნიჭიერი პიანისტის თამილა ნადირაშვილის და მისი მოსწავლის - ი. ბახის კონკურსის ლაურეატის მალვინა ისმაილოვას კონცერტზე დიდი სიამოვნება ელის. იცის, რომ ეს იქნება გამორჩეული დღე, რომელიც მათ სულს სალბუნად დაედება და, დროებით მაინც, დაავიწყებს ყოველდღიურობას და ტვირთმძიმეთა უსიამოვნო ფიქრებს.

ბევრჯერ ასიამოვნა მსმენელი თამილას და მალვინას – პედაგოგისა და მოსწავლის კონცერტმა. ამჯერად კი ეს კონცერტი გამორჩეულია იმით, რომ ის ეძღვნება ქალაქ დედოფლისწყაროს ღვთისმშობლის მიძინების საკათედრო ტაძრის კურთხევიდან 10 წლისთავს.

კონცერტი თავად ქალბატონ თამილას მიჰყავს. იგი შესავალ სიტყვაში ეხება მუსიკის როლს არა მხოლოდ ადამიანების ცხოვრებაში, არამედ მის დამოკიდებულებას უფალთან მიმართებაში.

- სულიერისა და მატერიალურის, იდეალურისა და რეალურის, სინამდვილისა და ზესინამდვილის თავისებური სინთეზის, ჰარმონიის მეშვეობით, ხელოვნება და კერძოდ, მუსიკა სრულყოფილს ხდის ადამიანის პიროვნებას, მათ შორის მის რელიგიურ მსოფლმხედველობასაც. ხელოვნება არის ის ასპარეზი, სადაც ხდება ღვთიური და ადამიანური სილამაზის შეხვედრა. იგი ალამაღლებს ადამიანს ღვთაებრივი მშვენიერების ხედვისა და ზიარებისაკენ. მხოლოდ ღვთიური მადლისა და ნიჭის მეშვეობით იქმნება ხელოვნება, საჩუქარი უფლისა, რადგანაც „მისგან არს ყოველი მოცემა კეთილის“, - თქვა მან და სიტყვა გადასცა საკათედრო ტაძრის წინამძღვარს დეკანოზ ნიკოლოზს, რომლის დახასიათებისასაც არ დაიშურა მრავალი ეპითეტი მისი, როგორც უზადო ღვთისმსახურის, ჭეშმარიტი ადამიანის და ამაგიანი მოღვაწის შესახებ, რომლის მხრებზეც გადაიარა სწორედ ამ ტაძრის მშენებლობამ. მამა ნიკოლოზი ის მოძღვარია, რომელსაც გულწრფელად უყვარს თავისი ქვეყანა, თავისი ხალხი და რომელიც ასევე უყვარს მრევლს, რომელსაც ის უანგაროდ ემსახურება.

სცენაზე ასულ მამა ნიკოლოზს, პატივისცემის ნიშნად, ტაშით შეხვდა დარბაზი. მან დალოცა ისინი და გაიხსენა ის მძიმე წლები, როცა ეკლესიის მშენებლობა მიმდინარეობდა. მამა ნიკოლოზის მონაყოლს აუდიტორიის წინაშე აცოცხლებდა სლაიდების მთელი ციკლი. მან მადლობა გადაუხადა თითოეულ ადამიანს, ყველა ორგანიზაციას, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ტაძრის მშენებლობასა და დღემდე მის საჭირო-სარიტუალო ატრიბუტიკით აღჭურვასა თუ შემკობაში. მან გამორჩეული პატივით და წუთიერი დუმილით გაიხსენა ორი პიროვნება, რომლებმაც გამორჩეული როლი ითამაშეს ეკლესიის მშენებლობის საქმეში. ესენი არიან მშენებელი ოსტატი და პოეტი ზაურ გონაშვილი და ერთ-ერთი ორგანიზატორი ილია პოპიაშვილი.



- ტაძარი ცოცხალი ორგანიზმია და როგორც მისი მშენებლობის დროს, მერეც ყოველთვის ერთად ვიყავით და ერთმანეთს ხელი გავუწოდეთ, დღესაც ხალხის თანადგომა და ქველმოქმედება სჭირდება ტაძრის მოხატვას, რომელიც უკვე დაიწყო, თქვენი მხარში დგომის იმედი გვაქვს. ამ მნიშვნელოვან საქმეს ძალისხმევას არ აკლებს ჩვენი მეუფე, ეპისკოპოსი დიმიტრი, - თქვა მამა ნიკოლოზმა და კონცერტიც დაიწყო: – დარბაზი გაივსო მსოფლიო კლასიკოსების შედევრების ჰანგებით. ქალბატონი თამილა და მალვინა ხან ცალცალკე, ხან კი დუეტში მსმენელს, რომელიც სულგანაბული უსმენდა, ბახის, მოცარტის, შოპენის, რახმანინოვის, გარდენის საუკეთესო ნაწარმოებებს სთავაზობდნენ, ხოლო კონცერტის მეორე განყოფილება მათ ქართველ კომპოზიტორებს - დავით ტურიაშვილს, გია ყანჩელს, რევაზ ლაღიძეს, ვაჟა აზარაშვილს დაუთმეს. ჟღერდა ფორტეპიანო და კვნესოდა ვიოლინო... დარბაზი ოვაციებს ვერ ფარავდა და დიდხანს უკრავდა ტაშს მოწონების შეძახილებით. კონცერტმა, როგორც ყოველთვის, მაღალ დონეზე ჩაიარა, კმაყოფილი მაყურებელი ნელ-ნელა ტოვებდა დარბაზს. მე კი ერთი რამ ფიქრი არ მასვენებდა:– მალვინა ისმაილოვა ნიჭიერი გოგონაა. ის №1 საჯარო სკოლის მე-10-ე კლასის წარჩინებული მოსწავლეა. მას წინ სამი წელი კიდევ აქვს ატესტატის აღებამდე. რაც შეეხება მუსიკას, რომლისთვისაც მას ღმერთმა უხვად დაანათლა ნიჭი, მეტი განვითარების გზა მოჭრილი აქვს. საქმე ის გახლავთ, რომ ჩვენი სამუსიკო სკოლა ექვსწლიანია. ეს სკოლა მალვინამ ორი წლის წინ დაამთავრა, მაგრამ... სკოლის დირექტორის მარინა კიკილაშვილის თანადგომით ერთი წელი კიდევ იმეცადინა სკოლის ბაზაზე, გასული ერთი წელი კი მისმა პედაგოგმა თამილა ნადირაშვილმა, სრულიად უსასყიდლოდ და უანგაროდ ამეცადინა. დამეთანხმებით, ქველმოქმედებასა და თანადგომასაც აქვს დასასრული... ჰოდა, მალვინა წელს სამუსიკო სკოლის გარეთ დარჩა. რა გამოსავალი არსებობს? - რამდენადაც ვიცი, რახანია, საკითხი დგას არასრული სამუსიკო სკოლის ათწლედად გადაკეთების შესახებ. უმრავლეს მუნიციპალიტეტებში სწორედ რომ სამუსიკო სკოლები ათწლიანია. ამჯერად ერთი მალვინას მაგალითი მოვიყვანეთ, თორემ ჩვენთანაც ბევრი ნიჭიერი ბავშვია, რომელსაც სწავლის გაგრძელება სურს. სასურველი იქნება, თუ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა გაითვალისწინებს ამ გარემოებას და იზრუნებს ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტისათვის. აქვე უნდა ითქვას, რომ სამუსიკო სკოლას ადგილობრივი ხელმძღვანელობის მხრიდან ყურადღება არ აკლია- ჩატარდა სარემონტო სამუშაოები, გამოიცვალა ფანჯრები, გაკეთდა ცენტრალური გათბობა, რამაც ბევრად გააუმჯობესა სამუშაო პირობები. ეს ყველაფერი ძალიან კარგია, მაგრამ საკითხი, რომელზეც ჩვენ ზემოთ ყურადღება გავამახვილეთ, ვფიქრობთ, საყურადღებოა.

ნაირა გორაშვილი

# დრო ადამიანის აზროვნებაში მეოთხე განზომილებაა...

თითქოს მის ხასიათს შეესაბამებოდა, იმ დღით ნაზი შემოდგომის წვიმა სცრიდა, მიუხედავად სიცივისა და შემოპარული ნისლისა, მაინც ჩნდება სურვილი, თუნდაც ერთი საათით, შენი ფიქრები, განცდები და გონება მაკა მოლოდინის ბგერებზე აცეკვო. გარეთ არსებული ცივი ამინდის საპირისპიროდ დარბაზში სითბო და სუფთად აღებული მუსილაკური ბგერა გვხვდება. სხეულში სითბო ილვრება. ბახის, რახმანინოვის და შოპენის მელოდიებმა ჰაეროვნად შემომატარა წინანდლის ბაღის ყოველი კიდე, ახლიდან გადამაფურცვლინა ყველა სასიამოვნო წიგნი, რომლის გაცოცხლებული მოქმედებებიც ოდესღაც მკვეთრად ლამაზად ჩაილექა მეხსიერებაში, როგორც კარგი ემოციები. აი ასე, ლამაზად და განვლილის გახსენებით შემოიჭრა მარიამ მოლოდინის ბგერები ჩემში, როგორც მსმენელში, ისე, რომ ერთ საათში, ცხოვრების თითქმის ყველა მნიშვნელოვანი ფურცელი გადავშალე. ადამიანი უნდა ეცადოს, რაც შეიძლება ბევრი პოზიტივი შემოუშვას საკუთარ მეშიც და სხვაშიც, მუსიკა სიკეთეს ქადაგებს, სიკეთეს ყვება და თუ როდისმე მძიმე აკორდები ჩნდება კომპოზიტორის ხედვაში, ესეც საუკეთესო გამოსავალია, ცუდი აურა განდევნო შენგან, რათა სინათლე და ლამაზი მაჟორი გამოჩნდეს სულში.

18 ოქტომბერს დედოფლისწყაროს ხელოვნების სკოლის დარბაზში მარიამ(მაკა) მოლოდინის სოლო კონცერტი გაიმართა. ავადმყოფობის გამო შექმნილი პრობლემით გამოწვეული ხანგრძლივი პაუზის შემდეგ მარიამი კვლავ ხელოვნების სკოლის სცენას დაუბრუნდა. ერთი მოსმენითვე ხვდები, რომ იგი გახლავთ უმაღლესი დონის, ჩამოყალიბებული პიანისტი, თავისი ხედვით და უდიდესი მუსიკალური შესაძლებლობებით. - „ყოველი შემსრულებელი იმას გადმოგვცემს, რასაც მას გამოცდილება უკარნახებს, რასაც მისი დაკვირვების უნარი ამჩნევს და მისი წარმოსახვა გრძნობს. მსმენელისთვის ყველაზე საინტერესო ისაა, თუ რამდენად შეძლო მან ჩაეტია ჩაუტევად, მკაფიოდ შემოფარგლულ ფორმაში შემსრულებლის განცდები, მოქმედებები. რაც უფრო დიდია შემსრულებლის სულიერი სამყარო, მით უფრო ფართოა მისი შემოქმედების წარმოსახვის საზღვრები, ხოლო ამ სივრცეში საყრდენ წერტილს პიროვნების ინტელექტის მასშტაბი განსაზღვრავს. ხელოვნება არის არა ტექსტი, არამედ ქვეტექსტი. ტექსტის სწორად წაკითხვა შეუძლია მანქანასაც, მაგრამ ხელოვნება ამის მერე იწყება. რამდენი ადამიანი უკრავს ფორტეპიანოზე, ისინი იმდენად ბგერით არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რამდენადაც რიტმით. დრო ადამიანის აზროვნებაში არის მეოთხე განზომილება, მისი აზრები დროში ვითარდება. მუსიკალური ნაწარმოებების შესრულება ადამიანის ყველა, სულიერი, ფიზიკური და გონებრივი ძალების ყველაზე უფრო მაღალორგანიზებული სინთეზია. სიმხიარულე, რომელიც ხელოვნებას მოაქვს, გართობა და თვითკმაყოფილება როდია. ის უზენაესი ცოდნაა და სიყვარულია, ეს სინამდვილის მიღებაა, ყველა უფსკრულის პირას სიფხიზლეა, მუსიკოსი კი, ალბათ იმ სიცოცხლის ბრწყინვალებასა და საშინელებას აჟღერებს. მეჩირაღდნეა, რომელსაც დედამიწაზე სიხარული და სინათლე მოაქვს“-აღნიშნა მარიამ მოლოდინმა კონცერტის დასაწყისში.



-„ექსპრესიულობა იშვიათი ნიჭია. ეს გულისხმობს ცხელ მუსიკალურ ტემპერამენტს მუსიკაში. მიხარია, რომ ჩვენს სკოლას დაუბრუნდა მშვენიერი პიანისტი მარიამ მოლოდინი. ჩვენთან მას სხვა დროსაც გაუმართავს სოლო კონცერტი. მიუხედავად დიდი, ცხოვრებისეული დაბრკოლებებისა, მარიამი, როგორც მუსიკოსი და პიანისტი, უფრო გაზრდილია. მის ცხოვრებაში იყო წლები, როცა მისი ჯანმრთელობა კრიზისულ ზღვარს მიუახლოვდა. რომელ დაკვრაზე იყო საუბარი. მისი მეუღლე რომ არა, შეიძლება დღეს მაკა - მარიამი აღარც გვყოლოდა. ეს სოლო კონცერტიც მისი გერმანელი მეუღლის – ბატონი სესილის აქტიურობით შედგა. მიკვირს, ავადმყოფობიდან ძლივს გამოსულმა, ამ გამხდარმა ხელებმა მაინც წინ წასვლა რომ შეძლეს. მარიამის პიანიზმი სავსეა მხატვრულ სახეთა მრავალფეროვნებით. არაჩვეულებრივი იყო ბახის პარტიტა თავისი უნაზესი, ღრმა და ლივლივა პიანოებით. ბობოქარი, დრამატული და ტკივილით სავსე იყო რახმანინოვის პრელუდია.... მაკას მუსიკალურმა ტემპერამენტმა ნამდვილად შეძლო ის, რომ დარბაზი ღრმა, მხატვრულ შემეცნებით სფეროებში ჩაეძირა,“- აღნიშნა ხელოვნების სკოლის დირექტორმა ქალბატონმა მარიამ კიკილაშვილმა.

- „დღევანდელი დღე ჩემთვის იყო ძალიან მნიშვნელოვანი, რა თქმა უნდა. იდეა ჩემი და უფრო მეტად კი, ჩემი მეუღლის მხრიდან წამოვიდა, მას სურდა, რომ გამემართა კონცერტი. მართალია, ამინდი ხელს არ მიწყობდა, მაგრამ, მაინც გავაკეთეთ. უკეთესად შემეძლო რომ მეჩვენებინა, მაგრამ ძალიან ვღელავდი, მით უმეტეს, მარტო ვუძღვებოდი კონცერტს და რთულია გადაბმით ამდენი ნაწარმოების დაკვრა. შევასრულე ექვსი ნაწარმოები თავისი ნაწილებით. ეს დარბაზი ჩემთვის უცხო არაა, აქ მე კონცერტები გავმართე 2005 და 2008 წელს. ამჟამად დავუბრუნდი პედაგოგობას, პედაგოგიურ სფეროში მინდა ჩემი ძალები მოვსინჯო. ერთი წელი ვმუშაობდი მხოლოდ პედაგოგად 2004 წელს, აქამდე არაფერს არ ვაკეთებდი, მოგეხსენებათ, ვიყავი ძალიან ცუდად, სიკვდილს ვებრძოდი, იყო ძალიან დიდი საფრთხე, რომ მე ანორექსიით გარდავცვლილიყავი და აი, კეთილი ადამიანების დახმარებით, უფრო სწორად მეუღლის დახმარებით გამოვჯანმრთელდი და დღეს დედოფლისწყაროელი მსმენელის წინაშე წარვსდექი. მადლობა ღმერთს ამისთვის.“-ამბობს მარიამ მოლოდინი ჩვენთან საუბარში.

ლალი მეხრიშვილი

# ერთი დაუვიწყარი დღე

ეს სათაური ერთობ ტრაფარეტულია და ბანალურად ჟღერს, მაგრამ მაინც ვირჩევ, რადგან ზუსტად გამოხატავს იმ განწყობას, რომელიც ამ დღის ბოლოს დაეუფლა ყველას – სტუმარსაც და მასპინძელსაც. ქვემოთ ერთ ლამაზ და შინაარსიან ღონისძიებაზე მოგახსენებთ, რომელიც ცოტა ხნის წინ ხელოვნების სკოლის საკონცერტო დარბაზში ჩატარდა დედოფლისწყაროს მწიგნობართა ასოციაციის თაოსნობით. ეს ორგანიზაცია, კერძოდ კი მისი თანათავმჯდომარე ნანა ჭიჭინაძე, მრავალი საინტერესო ღონისძიების ავტორი და ინიციატორია. მას მუდამ მხარს უჭერს ორგანიზაციის თავმჯდომარე ვანო ნატროშვილი. სწორედ მისი პატრონაჟით ტარდება მრავალი ღონისძიება. ასე იყო ამჯერადაც. იდეა, საიუბილეო პროექტისა „რუსთაველიდან – გალაქტიონამდე“, ნანა ჭიჭინაძეს ეკუთვნის. ასოციაციის გამგეობის წევრთაგან შეიქმნა საორგანიზაციო კომისია ნიკოლოზ ბენიაიძის, ლია მაისურაძის, მარიკა პოპიაშვილის, ლია კობაიძის, ხათუნა აგლაძის, გია ნატროშვილის, თამარ მოძღვრიშვილის და ნუნუ ცაკაშვილის შემადგენლობით. კომისიის თავჯდომარედ მე, თქვენი მონა-მორჩილი, ამირჩიეს და დაიწყო მსჯელობა, რა ფორმა მოგვენახა ქართული მწერლობის სამი ბუმბერაზის წარმოსაჩენად. წელს ხომ შოთა რუსთაველის 850, ვაჟა-ფშაველას 155, ხოლო გალაქტიონის 125 წლისთავი აღინიშნება და ეს ღონისძიებაც სწორედ მათი დაბადების საიუბილეო თარიღებს ეძღვნებოდა. ჯერ რაიონის მასშტაბით პედაგოგების და მოსწავლეების ჩართულობა განვიხილეთ, ბოლოს კი შევჯერდით, რომ მოგვეწვია უფრო მაღალი რანგის ადამიანი, რომელიც ახალ, განსხვავებულ ინფორმაციას მოგვაწვდიდა მათ შემოქმედებასა თუ ბიოგრაფიულ ფაქტებზე. არჩევანი თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორზე, პროფესორ ინესა მერაბიშვილზე შევაჩერეთ, რომელიც, ამავდროულად, არის უნივერსიტეტის თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს ბაირონის საზოგადოების თავმჯდომარე, ბაირონის და გალაქტიონის მკვლევარი და მთარგმნელი, ბაირონის საერთაშორისო ასოციაციის დირექტორთა საბჭოს წევრი, ნოტინგემის უნივერსიტეტის პოსტკონფლიქტურ კულტურათა კვლევის საერთაშორისო კონსორციუმის დირექტორთა საბჭოს წევრი, მრავალი მონოგრაფიის და წიგნის ავტორი. ეს ტიტულები აშკარად მიგვანიშნებს იმაზე, რომ შეხვედრა მოგვიწევდა მრავალმხრივ განსწავლულ ადამიანთან და, ამდენად, ძალიან საინტერესო იქნებოდა, მაგრამ ამ ყველაფრის გამრავალფეროვნება მაინც იყო საჭირო. ამიტომ, მეორე განყოფილებაში კლასიკური მუსიკა ჩავრთეთ, ხოლო ღონისძიების დაწყებამდე მისაღებში მომსვლელს ახალგაზრდა მხატვარ-დიზაინერის ხათუნა ბაბუხაძის გობელენების გამოფენა და ნანა ჭიჭინაძის მიერ საგანგებოდ სამივე მწერლის შემოქმედებიდან ამოკრეფილი ამონარიდების კოლაჟი დავახვედრეთ. ხათუნა ბაბუხაძე გურჯაანის რაიონის სოფელ მუკუზანიდანაა. 38 წლის შემოქმედს არაერთ გამოფენაში მიუღია მონაწილეობა. მისი ნამუშევრები მრავალი ქვეყნის ტურისტის კოლექციებს ამშვენებს. ის ჩვენთან პირდაპირ ტრადიციული რეწვისა და დიზაინის თბილისის 1 საერთაშორისო სამიტი „ეთნო Fest-2016“-ის საგამოფენო დარბაზიდან მოვიდა, სადაც ესპანელი, ამერიკელი, შვედი, ბრიტანელი და კიდევ სხვა მრავალი ქვეყნის წარმომადგენლები იღებდნენ მონაწილეობას. ხათუნას ნამუშევრებმა იქ დიდი მოწონება დაიმსახურა. არანაკლები მოწონება ხვდა წილად დედოფლისწყაროს ხელოვნების მოყვარულებისგანაც. საოცრად ლამაზი ნამუშევრები, ფერები, თემატიკა ხიბლავს მნახველს. ამ დღეს გამორჩეული მოწონება დაიმსახურა გალაქტიონის ლექსზე „ვარდი სილაში“ შექმნილმა მისმა ნამუშევარმა „სილაჟვარდე“.

ამინდმა არ დაგვალალატა და შემოდგომის ალერსიანი მზით გამთბარი დღე გათენდა. დარბაზი გაივსო მსმენელით და... ღონისძიებაც დაიწყო. საპატიო სტუმარი ინესა მერაბიშვილი დარბაზს ნანა ჭიჭინაძემ წარუდგინა. მსმენელთან უშუალო კონტაქტი არ გასჭირვებია ქალბატონ ინესას – რამდენიმე წუთი მან გაცნობის ცერემონიას დაუთმო და მსმენელს პირველ ეტაპზე რეჟისორ მერაბ კოკოჩაშვილის მიერ გადაღებული დოკუმენტური ფილმი შესთავაზა, სადაც მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ იყო მოთხრობილი. ეს იყო ჟესტი, მასპინძლებს სრული ინფორმაცია ჰქონოდათ სტუმარზე.

ქალბატონმა ინესამ ლიტერატურაზე საუბარი, რა თქმა უნდა, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნით“ დაიწყო, შემდეგ ვაჟა-ფშაველას შეეხო, მაგრამ ყველაზე მეტი დრო ქართული ლექსის მეფეს – გალაქტიონს დაუთმო–ის ხომ გალაქტიონის შემოქმედების ცნობილი მკვლევარი და მთარგმნელი გახლავთ. ისაუბრა მის შედევრზე „მერი“, გააქარწყლა გავრცელებული აზრი იმის შესახებ, რომ პოეტმა ეს ლექსი კონკრეტულ პიროვნებას, მშვენიერ მერი შერვაშიძეს მიუძღვნა და მსმენელი დაარწმუნა, რომ „მერი“ პოეტისთვის იდეალური ქალის პროტოტიპია და არა რეალური პიროვნება . ამას ხომ პოეტი თავადაც აღიარებს: „ჩემთვის რეალური მერი არ არსებობდა“! საინტერესო იყო „მარიამ ღვთისმშობლის“, „დაკარგული ვარდის და გვირილის“, „შემოდგომის ყვავილების“, „ცის სილაჟვარდის“, „მზის მიცვალება ღია თვალებით“ განმარტებანი და ახსნა პოეტის ღრმა, ხან გადატანითი, ხან ფილოსოფიური აზროვნებისა. მსმენელი სულგანაბული უსმენდა ამ ბუმბერაზი პოეტის შემოქმედების ახალ მიგნებებს, მის შემოქმედებაში შემოჭრილი დიდი ინგლისელი რომანტიკოსის ჯორჯ ბაირონის როლზე, მათ მსგავსებასა და განსხვავებაზე. ლიტერატურულ მიმოხილვებს შიგა და შიგ ქალბატონი ინესას მიერ ნათარგმნი გალაქტიონის ლექსების ქართული და ინგლისური ვარიანტები ამშვენებდა, რომელსაც შთამბეჭდავად კითხულობდნენ თავად ინესა მერაბიშვილი და ცნობილი ჟურნალისტი და პუბლიცისტი, ინგლისური ლიტერატურის ბრწყინვალე მცოდნე ნუგზარ რუხაძე, რომელიც ქალბატონმა ინესამ, მის მეუღლესთან ერთად, თან იახლა, როგორც მეგობარი და როგორც კოლეგა. სტუმრებს სათანადო პარტნიორობა გაუწიეს, აგრეთვე, დედოფლისწყაროს სკოლა „ბენაურის“ წარჩინებულმა მოსწავლეებმა კატო გვენეტაძემ, მარიამ მეხრიშვილმა და ლიკა გიგოლაშვილმა, რომლებმაც ქართულ და ინგლისურ ენებზე, მხატვრულად წაიკითხეს ლექსები ინესა მერაბიშვილის წიგნიდან „გალაქტიონი“.

ღონისძიების მეორე ნაწილი დაეთმო კლასიკურ მუსიკას, სადაც ლისტის, შოპენის, ბეთჰოვენის, მოცარტის ნაწარმოებები შინაარსობრივად დაუკავშირა ამ სამი დიდი მწერლის შემოქმედებას სრულიად ახალგაზრდა პიანისტმა სანდრო გეგეჭკორმა, რომელმაც შესრულების წარმოუდგენლად მაღალი დონე აჩვენა. სანდრო ჯერ მხოლოდ 15 წლისაა. მას სრულიად თავისუფლად შეიძლება ვუწოდოთ ვირტუოზი. ის ნიჭიერთა მუსიკალური ათწლედის მეათეკლასელი და ბაირონის სკოლის წარჩინებული მოსწავლეა. მან ქალაქ ერევანში საერთაშორისო კონკურსზე ოქროს მედალი, 1 პრემია და სპეციალური პრიზი დაიმსახურა. არის შოპენის სახელობის საერთაშორისო კონკურსის, მალტის საერთაშორისო ფესტივალის და თენგიზ ამირეჯიბის კონკურსის ლაურეატი, უკრავდა თბილისის და ბათუმის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად. 28 ოქტომბერს სანდრო ვენაში, მოცარტ ჰაუსში არის მიწვეული სოლო კონცერტით. აი, სწორედ ამ ახალგაზრდას აღფრთოვანებული მსმენელი დიდხანს უკრავდა ტაშს და აღტაცებული შეძახილებით გამოხატავდა კმაყოფილებას მის მიმართ.

ქალბატონმა ინესამ მადლობა გადაუხადა ღონისძიების ორგანიზატორებს, რაიონის ხელმძღვანელობას ასეთი მშვენიერი დახვედრისათვის და მათ საქართველოს ბაირონის საზოგადოების სახელით გადასცა სიგელები და წიგნები - „გალაქტიონის მერი - პროტოტიპის ძიება“ და სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიაქის ილია მეორის დაბადების 80 წლისთავისა და აღსაყდრებიდან 35 წლისთავისადმი მიძღვნილი თარგმანი გავრიილ დერჟავინის „ოდა ღმერთს“, რომლის წინასიტყვაობაშიც იგი წერს: „მადლობას ვწირავ უფალს, რომ მარგუნა ბედნიერება ამ დიდებულ ტექსტზე მუშაობისა, და რომ ეს მოხდა მისი უწმინდესობისა და უნეტარესობის, ილია მეორის კურთხევით“.





ჩამობრძანებულ სტუმრებს მადლობა გადაუხადეს საინტერესო ღონისძიებისათვის და ინესა მერაბიშვილს გადასცეს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის სიგელი ქართული ლიტერატურის კვლევასა და პოპულარიზაციის საქმეში შეტანილი გამორჩეული წვლილისათვის.

**ინესა მერაბიშვილი** - „საიუბილეო საღამო „რუსთაველიდან-გალაქტიონამდე“, ძალიან მაღალ დონეზე ჩატარდა. საკმაოდ ემოციური იყო დარბაზი, როდესაც გალაქტიონის წიაღსვლებში შევედით, როდესაც შოთა რუსთაველის ინტერპრეტაციაზე ვისაუბრეთ, ვაჟა-ფშაველას განსაკუთრებულ სიფაქიზეს შევეხეთ. თავად მე ძალიან კმაყოფილი ვარ; მიუხედავად იმისა, რომ საღამომ სამ საათზე მეტ ხანს გასტანა, დარბაზი საოცარი ინტერესით ისმენდა და ვგრძნობდი, როგორ ბოლომდე მომყვებოდა. ასეთი რამ კი ხშირად არ ხდება, ვაფასებ ინტელექტუალური მსმენელის ასეთ ინტერესს. მანამდეც მქონდა მოწვევა დედოფლისწყაროში. ჩემი მეგობარი და კოლეგა ცაცა ბენაშვილი მთხოვდა ჩამოსვლას, მაგრამ ვერ მოვახერხე. მადლობა ნანა ჭიჭინაძეს, რომ თქვენთან შეხვედრის საშუალება მომცა. ეს დღე, ნამდვილად, არ დამავიწყდება“.

**ნუგზარ რუხაძე**: - „საღამომ ძალიან თბილ ვითარებაში ჩაიარა და ვფიქრობ, რომ ასეთი ღონისძიებები აუცილებლად სასარგებლოა ორივე მხარისათვის. კარგი იქნებოდა, საქართველოს ყველა რაიონში ინტენსიურად ტარდებოდეს. ასეთ ურთიერთობაში უფრო მეტი ქართული სიტყვა და უფრო მეტი ურთიერთობა იბადება, რაც ბევრ რამეს სასიკეთოდ შეცვლის. არასდროს მქონია შესაძლებლობა, დედოფლისწყაროში ჩამოვსულიყავი, აქ პირველად ვარ და ძალიან კმაყოფილი მივდივარ“.

**თამარ თამაზაშვილი**: „დაუვიწყარი დღე იყო. დარბაზში რაიონის ინტელიგენციამ მოიყარა თავი, სწორედ მათზე იყო გათვლილი ეს საღამო, რომელიც მწიგნობართა ასოციაციამ მოაწყო. მიზანი იყო, როგორც საზოგადოების ინტელექტუალური დონის ამაღლება, ისე ფასეული სულიერი საზრდოს მიწოდება, რომლის სიმწირეც აშკარად შეიმჩნევა დღევანდელ რეალობაში. ამჯერად კი ძალიან ლამაზი, ღრმა და შინაარსიანი საღამო შედგა, რომელიც მაყურებელმა აღფრთოვანებით მიიღო. მადლობას ვუხდი როგორც ორგანიზატორებს, ისე ქალბატონ ინესას, ასე ღრმა ანალიზისათვის. მან ეს სამი ლიტერატურული მწვერვალი ჩვენი ქვეყნისა, სულ სხვა კუთხიდან დაგვანახა და დიდი სიამოვნება მოგვანიჭა. უამრავი რამ მოვისმინეთ, რომელიც ჩვენთვის ნაკლებად ცნობილი იყო. არ შემიძლია არ გამოვყო ნორჩი პიანისტის -სანდრო გეგეჭკორის მაღალი საშემსრულებლო დონე, მან გაგვაოცა. უაღრესად საინტერესო იყო ქალბატონ ხათუნა ბაბუხაძის გობელენები. კიდევ ერთხელ მადლობა მათ და ამ ღონისძიების სულისჩამდგმელებს ასეთი დაუვიწყარი დღისათვის“.

ძვირფასო მკითხველო, ჩემი მხრიდან კი, როგორც ორგანიზატორისაგან, მადლობა მინდა ვუთხრა სტუმრებსაც, მობრძანებულ საზოგადოებასაც და სპონსორებს: ღვინის ქარხანა „ოკამის“ დირექტორს ვაჟა ოზაშვილს, შპს „ზედაშეს“ დირექტორს გიორგი კიკილაშვილს, გამარჯვების ხორცკომბინატის დირექტორს ვაჟა ნატროშვილს, ფერმერებს - ბაჩუკი და ვაჟა გონაშვილებს, ელიზბარ იმერლიშვილს, ნიკოლოზ ბენიაიძეს, ვანო და გია ნატროშვილებს, თენგიზ იაკობიშვილს, მეწარმე ზეინალ მოდებაძეს, ჩვენს ყოფილ დეპუტატს ლაერტ ზუბადალაშვილს, რომელთა მხარში დგომამაც მოგვცა საშუალება, გვემასპინძლა სტუმრებისათვის ისე, როგორც დედოფლისწყაროს სჩვევია და ეკადრება. დიდი მადლობა ხელოვნების სკოლის დირექტორს მარინა კიკილაშვილს და მთელს კოლექტივს ხელშეწყობისათვის, საინფორმაციო მხარდაჭერისათვის გაზეთებს „საქართველოს ლირიკა“ და „შირაქი“, თოქ-შოუ „დედოფლისწყაროს საათს“ და საიუბილეო პროექტის მთავარ მხარდამჭერს, მუნიციპალიტეტის გამგეობას, საკრებულოს და ქალაქის მერიას. ეს. მართლაც, დაუვიწყარი დღე იყო.

P.S. დედოფლისწყაროს ღონისძიებიდან წასული ინესა მერაბიშვილი მეორე დღეს ქალაქ გორში იყო მიწვეული, სადაც მას საზეიმოდ „გორის საპატიო მოქალაქის“ წოდება მიენიჭა. ის, წარმოშობით, გორიდანაა. ვულოცავთ და კვლავაც წარმატებები ვუსურვოთ.

ნაირა გორაშვილი

# უბედური შემთხვევა და გარდაცვლილი ჯარისკაცი დედოფლისწყაროში

დედოფლისწყარო-სიღნაღი-თბილისის დამაკავშირებელ ავტომაგისტრალზე, სოფელ ბოდბესთან ახლოს, „კამაზის“ მარკის სამხედრო ავტომობილი გადაბრუნდა, რომელშიც 37 სამხედრო მოსამსახურე იმყოფებოდა. ჯარების ლოგისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის საბრძოლო მასალებისა და სამხედრო- ტექნიკური ქონების ბაზის შენახვის სამხედრო მოსამსახურეები დედოფლისწყაროდან ოსიაურისკენ გადაადგილდებოდნენ. ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად გარდაიცვალა ერთი სამხედრო მოსამსახურე. დაშავებული სამხედრო მოსამსახურეები დედოფლისწყაროსა და წნორის საავადმყოფოებში გადაიყვანეს, 5 შედარებით მძიმედ დაშავებული სამხედრო მოსამსახურე კი, თბილისში დაზიანებების მიხედვით პროფილურ საავადმყოფოებში გაივლის მკურნალობის კურსს. მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

საქართველოს თავდაცვის მინისტრი ლევან იზორია ადგილზე გაეცნო არსებულ მდგომარეობას და დაშავებული სამხედრო მოსამსახურეები მოინახულა.

შსს-ს ინფორმაციით, გამოძიება სსკ-ის 276-ე მუხლის მე-5 ნაწილით დაიწყო, რაც გულისხმობს ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.



# გივი თარგამაძის მანქანის აფეთქების საქმეზე დაკავებული ბორის ჩაგუნავა ბრალს არ აღიარებს



გივი თარგამაძის მანქანის აფეთქების საქმეზე ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად დაკავებული ბორის ჩაგუნავა წაყენებულ ბრალს აღიარებს, - ამის შესახებ საქმის ერთ-ერთმა პროკურორმა ლია ჩადუნელმა განაცხადა.

პროკურორის ინფორმაციით, ჩაგუნავა აღიარებს, რომ ის იარაღს ინახავდა, თუმცა, ”ნაციონალური მოძრაობის” წევრის გივი თარგამაძის მანქანის აფეთქებასთან რაიმე კავშირს გამორიცხავს.

ბრალდებულმა მისთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდების საკითხზე გამართულ სასამართლო სხდომაზე აღნიშნა, რომ იარაღი, საბრძოლო მასალა და ნახაზები შესანახად დავით ხეჩუაშვილმა გადასცა, რომელიც გამოძიების ვერსიით, თარგამაძის მანქანის აფეთქებაშია ბრალდებული. ჩაგუნავამ პროცესზე ხაზი გაუსვა, რომ მისთვის ხეჩუაშვილის გეგმები უცნობი იყო.

ბრალდებულ ბორის ჩაგუნავას ინტერესების დამცველმა ელიზავეტა ჯაფარიძემ განაცხადა, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფს არ სურს მისი პოზიციების საჯაროდ დაფიქსირება და შესაბამისად, ის ვერ ისაუბრებს იმაზე, აღიარებს თუ არა ჩაგუნავა წარდგენილ ბრალს ან რა გარემოებებზე ისაუბრა მან სასამართლო პროცესზე.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ დეპუტატ გივი თარგამაძის მანქანის აფეთქების საქმეზე ერთი პირი დააკავა, ერთს კი დაუსწრებლად ბრალი წარუდგინა. უწყების ინფორმაციით, სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლით, რაც იარაღის, საბრძოლო მასალისა და ასაფეთქებელი მოწყობილობების უკანონო შეძენა-შენახვა-ტარებას გულისხმობს, დაკავებულია 1976 წელს დაბადებული ბორის ჩაგუნავა, 19/109 მუხლით კი, რაც დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობის მცდელობას გულისხმობს, ბრალი 1974 წელს დაბადებულ დავით ხეჩუაშვილს წარედგინა.

ხსოვნა

## ელიოზ ყველაშვილს!

ჩემო ელიოზ, მიიწურა ამქვეყნიდან შენი წასვლით გამოწვეული ტკივილიანი და ცრემლიანი 8 თვე, რამაც მე და შენ ერთმანეთს დაგვაშორა. წახვედი და დამიტოვე მოუშუშებელი ტკივილი და უსაზღვრო მონატრება. დრო ვერ განკურნავს იმას, რასაც უშენობა ჰქვია. მინდა მჯეროდეს, რომ მაგ სამარადისო ქვეყანაში კიდევ შევხვდებით ერთმანეთს და მანდ გავაგრძელებთ ცხოვრებას, რასაც ჩვენი სიყვარული ჰქვია. მწარედ მოსაგონებელი დამრჩა ტკბილად გატარებული ცხოვრება.

ენატრები შენს მაკას, მარიამს, სულ გიგონებენ – მამამ ასე იცოდა, პაპამ ასე თქვაო. მაკას ისე ენატრები, სულ ტირის. მარიამი სტუდენტია, მან ნატვრა შეგისრულა, მაგრამ შენ ვეღარ მოესწარ ამას.

იძინე მშვიდად, ჩემო ელიოზ, შენ ხომ ყველა მინდა გყავს, მშობლები, და, ძმები. უფალმა ნათელში გამყოფოთ ყველა, თქვენს სახელს დავიწყება არ უწერია.

**მეუღლე** ეთერ ჩოქური–ყველაშვილი

**შვილი** მაკა; **შვილიშვილი** მარიამ მაზმანოვი.



გამოსათხოვარი

## ნოდარ ბოსტაშვილი



5 ოქტომბერს ხანმოკლე. მძიმე ავადმყოფობის შედეგად 63 წლის ასაკში გარდაიცვალა ნოდარ გიორგის ძე ბოსტაშვილი.

ნოდარ ბოსტაშვილმა 1970 წელს დაამთავრა დედოფლისწყაროს რუსული საშუალო სკოლა, რის შემდეგაც სწავლა განაგრძო თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის (გპი) მეტალურგიულ ფკულტეტზე, პარარელურად მუშაობდა რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში ინჟინრად, შემდეგ კი უფროს ინჟინრად.

1995 წლიდან გარდაცვალებამდე მუშაობდა შპს „ინტროსკოპში“.

ნოდარს იცნობდნენ როგორც კეთილ, მშვიდ, გაწონასწორებულ პიროვნებას. სამწუხაროა, რომ ოჯახიდან წავიდა ოჯახის უფროსი და დატოვა მეუღლე და ქალიშვილი.

ნოდარის ხსოვნა ყოველთვის დარჩება მისი ოჯახის, ახლობლების, მეგობრების გულებში.

ოჯახი.

## მერაბ ჩოქური



დაბადების დღეს გილოცავ, მერაბ! 26 ოქტომბერი შენი დაბადების დღეა. ამ დღეს სიხარულით ვხვდებოდით ხოლმე, დღეს კი როგორი მწარეა ჩვენთვის ამის გახსენება, რა მწარე ყოფილა წუთისოფელი, იმის გახსენებაც კი არ მინდა, რომ დღეს ჩვენ გვერდით აღარა ხარ. შენ ის ტკივილი ხარ, რომელიც არასოდეს დაგვავიწყდება. შენი ღიმილი, შენი იუმორი, შენ გვერდით არასოდეს არ მოიწყენდა ადამიანი, ვიხსენებ ამ ყველაფერს და მეტირება, ცრემლის მეტი არაფერი დაგვიტოვე, ჩემო მერაბ. დატოვე შენი საყვარელი დები – შენი ქეთინო და მერი. ძალიან მწარე ყოფილა დისთვის ძმის სიკვდილი. სიწყნარეა შენს ოჯახში, უშენობას განიცდიან, ნათელა ისევ გელოდება, ასე მგონია, სადმე არის წასული და მოვაო, დაეტყო უშენობა ნათელას. უფალს შევთხოვ ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული, შენს სახელს დავიწყება არ უწერია.

**შენი მამიდა** ეთერ ჩოქური,
**მამიდაშვილი** მაკა ყველაშვილი

გაზეთ „შირაქის“ რედაქციის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ელზა და გელა გველუკაშვილებს
მათე თეგაძის
გარდაცვალების გამო

შპს „მექანიზატორი – 2005“-ის დირექტორი ვანო ლოლაშვილი და თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ აკაკი და ლალი ბეგიაშვილებს შვილის
გიორგის
გარდაცვალების გამო.

# რა უნდა ვჭამოთ რომ არ დავბერდეთ

*მეცნიერები ამტკიცებენ, რომ ზოგიერთ პროდუქტს გენების გამაახალგაზრდავებელი უნარი გააჩნია.*

*დაივიწყეთ მკაცრი დიეტების, კალორიების დათვლის და ტკბილზე უარის თქმის შესახებ. ჯანმრთელობისა და მუდმივი ახალგაზრდობის რეცეპტი იმაში მდგომარეობს, რომ თქვენს რაციონში ისეთი პროდუქტები ჩართოთ, რომელიც გენებზე ახდენს ზემოქმედებას.*

*პირველი ადამიანი ვინც განაცხადა იმის შესახებ, რომ საკვები პროდუქტები გავლენას ახდენს გენების მუშაობაზე იყო ამერიკელი დერმატოლოგი ნიკოლას პერიკონე. რამდენიმე ბესტსელერის ავტორი ამტკიცებდა, რომ გენეტიკური დანადგარები ჩვენს ორგანიზმში მუდმივი არ არის. ის მოდიფიკაციას ექვემდებარება ადამიანის მთელი სიცოცხლის მანძილზე. და ყველაზე მნიშვნელოვანი როლი ამ საქმეში სწორედ რომ საკვებს უკავია, ანუ იმას თუ რას მივირთმევთ.*

*„ჩვენ გენებს მემკვიდრეობით ვიღებთ, მიდრეკილებით ადრეული თუ გვიანი დაბერებისკენ, ასევე სხვადასხვა ტიპის დაავადებებისკენ — ამბობს მკვლევარი. — მაგრამ ზოგიერთი სახის პროდუქტის რეგულარულ გამოყენებას შეუძლია შესწორებები შეიტანოს ამ გლობალურ გეგმაში“*

*ბევრი ახლი კვლევა გვიჩვენებს, რომ პერიკონის აზრი საფუძველს ნამდვილად არ არის მოკლებული. მაგალითად, ამერიკელი დიეტოლოგი ბრუნილდა ნაზარიო თვლის, რომ დიეტა, რომელიც პერიკონეს იდეებს ეფუძნება, არ ეწინააღმდეგება თანამედროვე დიეტოლოგიის პრინციპებს და ნამდვილად გამართლებულია.*

*მსგავსი სახის კვება სერიოზულ შეზღუდვებს არ ითვალისწინებს. ის მხოლოდ აქცენტს აკეთებს ზოგიერთი საკვების რეგულარულ მოხმარებაზე, რომელიც ეხმარება ორგანიზმს სიბერესთან ბრძოლაში.*

**1. შავი შოკოლადი**

საუბარია შოკოლადზე კაკაოს მაქსიმალური შემცველობით. კაკაო შეიცავს ანტიოქსიდანტს, რომელიც ფლობს ფენომენალურ შესაძლებლობას დაიცვას ორგანიზმი სხვადასხვა ინფექციისგან.

უპირველეს ყოვლისა, ეს ნივთიერება სასარგებლოა კანისთვის. ამიტომ კაკაო — უბრალოდ აუცილებელია ქალებისთვის, რომელთაც სურთ შეინარჩუნონ ახალგაზრდა კანი ხანდაზმულ ასაკში.

ამასთან, მეცნიერებმა გამოაქვეყნეს დასკვნა, რომლის თანახმადაც შავი შოკოლადის დაახლოებით 60 ჰორმონი ხელს უშლის არტერიების შევიწროვებასა და დახშობას. აუმჯობესებს სისხლის ცირკულაციასა და ხელს უშლის თრომბების წარმოქმნის ალბათობას. გარდა ამისა, კოფეინი და თეობრომინი, რომელსაც ეს მწარე ნუგბარი შეიცავს, ადამიანის შრომისუნარიანობისა და შემოქმედებითი აქტივობის სტიმულირებას ახდენს.

**2. ორაგული**

პერიკონე იზიარებს დიეტოლოგების აზრს იმის თაობაზე, რომ ორაგული და ცივ წყლებში მობინადრე თევზის სხვა სახეობები, უნდა მიიღოთ რეგულარულად. ასეთი თევზი შეიცავს ცხიმოვან მჟავას ომეგა -3 და ანტიოქსიდანტებს, ასევე წარმოადგენს ცილების წყაროს, რომელიც აუცილებელია ორგანიზმის ქსოვილის სტრუქტურისთვის. ყველა ეს სამი ელემენტი წარმოადგენს საკვანძო ნივთიერებას ორგანიზმის გასაახალგაზრდავებლად, რამდენადაც მათი შემცველობა რაციონში იმ გენების აქტივაციას უწყობს ხელს, რომელიც ორგანიზმს აახალგაზრდავებს — ამტკიცებს პერიკონე.

**3. დარიჩინი**

ეს სანელებელი არა მხოლოდ დახვეწილ გემოს აძლევს ზოგიერთ კერძსა და სასმელს, არამედ სიცოცხლის გახანგრძლივების უნიკალურ საშუალებას წარმოადგენს. დარიჩინი შაქრის დონეს არეგულირებს სისხლში, აუმჯობესებს ტვინის მუშაობასა და ზრდის კონცენტრაციის უნარს.

პერიკონე ასევე ამტკიცებს, რომ ანტიოქსიდანტებს, რომელსაც დარიჩინი შეიცავს, შეუძლია მელანომას წარმოქმნის რისკი შეამციროს. ფაქტიურად, დარიჩინს უნარი აქვს ორგანიზმში იგივე როლი ითამაშოს, რაც ნიწმატს — როგორც რამდენიმე გენის “ჩამრთველი,” აქტიურად უწყობს ხელს იმუნური სისტემის მუშაობის პროცესს.

**4. სოკო**

თანამედროვე დიეტების უმრავლესობაში სოკო არ შედის. ითვლება, რომ ეს მძიმედ მოსანელებელი პროდუქტია და არ შეიცავს განსაკუთრებულად ღირებულ საკვებ ნივთიერებებს. თუმცა, ბოლო წლებში კვლევები უფრო ხშირად აჩვენებს, რომ ზოგიერთი სახეობის სოკოს სასარგებლო გავლენა აქვს იმუნურ სისტემაზე, აუმჯობესებს მეტაბოლიზმს და აძლიერებს ღვიძლს — ხაზს უსვამს პერიკონე. კონკრეტულად სოკო შიტაკი უამრავ სასარგებლო ანტიოქსიდანტს შეიცავს. პოპულარული ხის სოკო კი მდიდარია რკინით, რომელიც განსაკუთრებით სასარგებლოა თირკმელებისა და შარდ-სასქესო სისტემისთვის. ამას გარდა, სოკოს ბევრი სახეობა მდიდარია D ვიტამინით, ამიტომაც განსაკუთრებით სასარგებლოა იმ ადამიანებისთვის, ვინც მზეზე იშვიათად გადის.

**5. ნიწმატი**

ამ პროდუქტის შემთხვევაშიც საქმე ანტიოქსიდანტებს ეხება, რომელიც იმუნური სისტემის ბრძოლის უნარს აძლიერებს ინფექციებისა და მავნე ნივთიერებების მიმართ. ამცირებს თავისუფალი რადიკალების რაოდენობას, რომელიც ორგანიზმის დაბერების პროცესში მთავარ აგენტს წარმოადგენს.

ნიწმატის თითქმის ყველა სახეობის ქიმიური შემადგენლობა პრაქტიკულად ერთნაირია ეს გახლავთ კაროტინი, A, E, C, K, D, PP და B ჯგუფის თითქმის ყველა ვიტამინი, მინერალები: ფოსფორი, კალციუმი, მაგნიუმი, რკინა, იოდი; ასევე, ცილები, ნახშირწყლები, ეთერზეთები, გლიკოზიდი, ალკალოიდი ლეპიდინი, ფლავონოიდები და ზეთი.

ამას გარდა, ნიწმატი შარმდენი საშუალებაა, რომელიც ორგანიზმიდან მავნე მარილებს დევნის და ამით იცავს თირკმელებს, ღვიძლს და ამცირებს ზეწოლას გულ-სისხლძარღვთა სისტემაზე.

პერიკონეს მტკიცებით, ნიწმატის რეგულარული მოხმარება ორგანიზმში ზოგიერთი გენის აქტივაციას იწვევს, რომელიც იმუნური სისტემისთვის მნიშვნელოვან ნივთიერებას გამოიმუშავებს.

**6. შალფეის თესლი**

უკვე რამდენიმე ათასწლეულია რაც შალფეი სამკურნალო მცენარედ ითვლება, თუმცა ექიმები ხშირ შემთხვევაში არასერიოზულად ეკიდებიან მას, ისევე როგორც სხვა “ხალხური მედიცინის” ბევრ საშუალებას. პერიკონე ამტკიცებს, რომ ეს არასწორი მიდგომაა და თავად გვთავაზობს კორექტივებს შალფეის მიღებისას — გვთავაზობს რეგულარულად გამოვიყენოთ არა თავად მცენარე, არამედ მისი თესლი, რადგანაც მდიდარია ცხიმოვანი მჟავა ომეგა—3-ით, რომელიც უშუალოდაა პასუხისმგებელი ორგანიზმის გაახალგაზრდავების პროცესზე. ამას გარდა, შალფეის თესლში E ვიტამინისა და კალცის მაღალი კონცენტრაციაა, რომელიც აუცილებელია ძლოვანი ქსოვილისთვის.

**7. მწვანე ჩაი**

მწვანე ჩაი დიდი რაოდენობით კატეხინებს შეიცავს — ბუნებრივ ანტიოქსიდანტებს, რომელიც ხელს უშლის დაბერების პროცესს და ხელს უწყობს გახდომის პროცესს. ამ კვლევის თანახმად, მწვანე ჩაის რეგულარული გამოყენება 15-20% -ით უფრო აჩქარებს ცხიმების წვას ორგანიზმში.

ზოგიერთი კვლევა ადასტურებს, რომ ის გენებისთვის სერიოზულ “ჩამრთველს” წარმოადგენს, რომელიც ორგანიზმს სიმსივნისგან იცავს. მაგალითად, მკერდის კიბო ქალებში და პროსტატის სიმსივნე კაცებში. ამასთან, მწვანე ჩაი აახალგაზრდავებს კანს და აუმჯობესებს ტვინის მუშაობას — დარწმუნებულია პერიკონე.

**8. წითელი ღვინო**

ერთადერთი ალკოჰოლური სასმელი, რომელიც რეკომენდირებულია რეგულარული მოხმარებისთვის. საქმე რესვერატროლს ეხება — აქტიურ ფერმენტს, რომელიც ორგანიზმში ხელს უშლის ცხიმების დაგროვებას, ბლოკავს რა ცხიმოვანი უჯრედების რეცეპტორებს.

გარდა ამისა, რესვერატროლს, ბოლო დროინდელი კვლევების თანახმად, შეუძლია გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებებისა და სიმსივნის პრევენციაც კი მოახდინოს. ასევე, წითელი ღვინო ამაგრებს ძვლებს. თუმცა, ეს მხოლოდ და მხოლოდ ქალებს ეხებათ. საიდუმლო იმაში მდგომარეობს, რომ ღვინო ზრდის ქალის ჰორმონის —ესტეროგენის დონეს, რის შედეგადაც ნელდება ოსტეოპოროზის (ძვლების სიმყიფე) პროცესი, თუმცა, აქ მთავარია დოზას არ გადაამეტოთ — დღეში მხოლოდ 1 ჭიქა და ისიც წითელი ღვინო.

**9. კოჭა**

ერთ-ერთი ყველაზე საკვანძო ელემენტი ჭარბ წონასთან ბრძოლაში. კოჭა შიეცავს ეთერზეთებს, რომელიც კუჭის წვენის გამომუშავებას უწყობს ხელს და აუმჯობესებს საჭმლის მომნელებელ სისტემას. ამის ხარჯზე ორგანიზმი უფრო მეტ ენერგიას ხარჯავს და ცხიმოვან უჯრედებს წვავს.

ასევე, ზოგიერთი კვლევები გვიჩვენებს, რომ კოჭას რეგულარული გამოყენება აუმჯობესებს კანის მდგომარეობას. დღეში 2 გრ. კოჭა საკმარისია იმისთვის, რომ სისხლში შაქრის დონემ 20%-ით დაიწიოს. სხვა სიტყვებით — ის ხელს უშლის დიაბეტის განვითარებას.

**10. გრეიფრუტი**

დიდ ხანია ცნობილია გრეიფრუტის სასარგებლო თვისებების შესახებ და ეს ეჭვს არ იწვევს. ახალი კვლევები მხოლოდ ამყარებს მიღებულ მონაცემებს და გვიჩვენებს, რომ გრეიფრუტს სათანადოდ არ აფასებენ. ის არა მხოლოდ დიდი რაოდენობით ვიტამინ C შეიცავს, ასევე სისხლში ინსულინის დონის დარეგულირების უნარი აქვს.

გრეიფრუტი შეიცავს ცხიმების დამწველ ნივთიერებებს: ინოზიტოლს და პექტინს. ხელს უწყობს საკვების მონელებას და ღვიძლის აქტივაციას. ამას გარდა, ის არეგულირებს სისხლძარღვების მუშაობას, ამცირებს ქოლესტერინის დონეს, ახდენს ნერვიული სისტემის ტონიზირებას, ეხმარება აპათიის დაძლევაში, ამახვილებს ყურადღებასა და მეხსიერებას, ხსნის დაღლილობას. ზოგადად მას ყველაზე სასარგებლო ციტრუსად მიიჩნევენ.

გრეიფრუტს მწარე გემოს აძლევს ფლავონოიდ ნარინგინი, რომელსაც შეიცავს მისი კანი. ის აუმჯობესებს სისხლძარღვების გამტარიანობას და ელასტიურობას, აძლიერებს კაპილარებს, ამიტომ გამოიყენება გულ-სისხლძარღვთა დაავადებების დროს. ძალიან სასარგებლოა ასევე მისი თესლი — ახასიათებს ბაქტერიოციდული მოქმედება.

## ულოცავენ!

### ნია მელაშვილს!



ჩემო სიცოცხლევ და ჩემო სიხარულო, გილოცავ „ოქროს“ დაბადების დღეს. როგორ გაფრენილან წლები – 18 ოქტომბერს 18 წელი შეგისრულდა. შენ უკვე დიდი გოგო ხარ, საქართველოს სრულუფლებიანი მოქალაქე. გაირბენს კიდევ ეს ერთი წელიც, დაამთავრებ საჯარო სკოლას და ცხოვრების ახალი ფურცელი გადაიშლება შენთვის. იყავ დღეგრძელი, ჯანმრთელი და წარმატებული. უფლის წყალობა, მშობლების და ახლობლების მხარშიდგომა არ მოგკლებოდეს. ძალიან მიყვარხარ!

**შენი ბებო**
ნაირა გორაშვილი

### თეონა ყაზაროვს!



ჩვენო საყვარელო თეონა! გილოცავთ „ოქროს“ დაბადების დღეს. გისურვებთ სიხარულს, სიყვარულს და ბედნიერებას. უფლის წყალობა და ჯამთელობა არ მოკლებოდეს. გისურვებთ წარმატებულ მომავალს, შენი ყველა სურვილის ახდენას.

**ბებიები:** ნიაზი, ნარგიზი და ლილი, **პაპა:** ავთანდილი, **დეიდები:** მაკა და ლალი; **დეიდაშვილები:** გიორგი, ლიზი და ნიაკო; **ბიძები:** ალიკა და ლევანი.

### მარი მაზმანოვს!



ბებო, გილოცავ სტუდენტობას, საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტში (სეუში) ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის ფინანსირების სპეციალობაზე ჩაბარებას.

ბედნიერ სტუდენტობას გისურვებ, ყოველი დღე, იყოს მზის სხივივით გაბრწყინებული და ღვთის მადლით გამდიდრებული. შენი ბედის ვარსკვლავს სულ ებრწყინოს ცის კამარაზე. ჩემო ცისფერთვალება, ჩემო ფერია, გვიყვარხარ ძალიან. ყოველთვის გვეამაყოს შენით.

**ბებო** ეთერ ჩოქური-ყველაშვილი,
**დედა** მაკა ყველაშვილი.

### ოვანეს ოგანესიანს!



ჩვენო სიხარულო, გილოცავთ დაბადების დღეს! იყავი ჯანმრთელი და წარმატებული ბიჭი, ისეთი, ყველას რომ გვეამაყებოდე!

წლების წინათ ცის ცრემლისგან, აღმოცენდა მიწად ვარდი,
დედამიწას მოევლინე, საქართველოს შვილი გახდი.
დილის ნამმა გასაზრდოვა, მზე გჩუქნიდა სითბოს ციდან.
ლამაზი და საყვარელი, გაიზარდე მინდა გითხრა.
დაბადების დღეს გილოცავ, შეგეწიოს ყოვლად წმინდა,
რაც ამ ქვეყნად სიკეთეა, დამერწმუნე შენთვის მინდა....

**პაპა** რანტიკი, **ბებო** მარინა

## ყურადღება!

ქალაქ დედოფლისწყაროში გაიხსნა სილამაზის სალონი, რომელიც მოემსახურება როგორც ქალებს, ასევე მამაკაცებს. სალონს ესაჭიროება პარიკმახერ-სტილისტი და კოსმეტოლოგი.

მისამართი: **ქ. დედოფლისწყარო, 9 ძმის ქ. №2 (მუსიკალური სკოლის მოპირდაპირედ)**

☎ **558 33 66 06.**

## ამინდი დედოფლისწყარო

| ორშაბათი 24.10 | | სამშაბათი 25.10 | | ოთხშაბათი 26.10 | | ხუთშაბათი 27.10 | | პარასკევი 28.10 | | შაბათი 29.10 | | კვირა 30.10 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე |
| 7° | 5° | 2° | 1° | 0° | -1° | 2° | 1° | 8° | 6° | 8° | 6° | 7° | 6° |

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი:
ქალაქი დედოფლისწყარო,
ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.